



N 466/ბ
25/10/2021

466-ბ-4-202110251627



ბრძანება

ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირში (ს/ნ 204874911) (შემდგომში „კავშირი“) რეორგანიზაციის შესახებ, ეკონომიკური გარემოებებისა და ორგანიზაციული ცვლილებების მიზეზით, კერძოდ:

1. ვინაიდან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კავშირის 2014-2018 წწ. პერიოდის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვითი შესაბამისობის შემოწმებისას გაცემულია მთელი რიგი რეკომენდაციები, მათ შორის შეზღუდვის გარეშე, შრომის ანაზღაურების პოლიტიკისა და სამუშაო აღწერილობების შემუშავებასთან მიმართებაში;
2. 2021 წლის 15 აგვისტოს საერთო კრებაზე დამტკიცდა ახალი წესდება, აირჩა ახალი სამეთვალყურეო საბჭო და მომზადდა ყველა აუცილებელი წინაპირობა კავშირში სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებისათვის;
3. ვინაიდან, როგორც 2021 წლის 15 აგვისტოს საერთო კრებაზე აღინიშნა, არსებობს ინსტიტუციური განვითარების საჭიროება და სხვა მრავალი გარემოება:

ვბრძანებ:

- 1) კავშირში დაიწყოს რეორგანიზაციის პროცესი 2021 წლის 1 ნოემბერს და დასრულდეს 2021 წლის 31 დეკემბერს;
- 2) რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდეს კავშირის არსებული სტრუქტურა და დამტკიცდეს კავშირის ახალი სტრუქტურა (დანართი 1 - ახალი სტრუქტურა);
- 3) დამტკიცდეს და ძალაში შევიდეს კავშირის შინაგანაწესი (დანართი 2 - შინაგანაწესი);
- 4) რეორგანიზაციის შედეგად კავშირის ახალი სტრუქტურის დამტკიცებით გაუქმდეს ამ ბრძანებით განსაზღვრული პოზიციები (დანართი 3 - გაუქმებული პოზიციები);
- 5) რეორგანიზაციის შედეგად კავშირის ახალი სტრუქტურის დამტკიცებით განისაზღვროს პოზიციების თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომლებიც ჩამოყალიბდება ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებებში;
- 6) დამტკიცდეს ახალი საშტატო განრიგი და გამოცხადდეს დახურული ტიპის კონკურსი ახალ პოზიციებზე (დანართი 4 - საშტატო განრიგი) ;
- 7) ახალ გამოცხადებული პოზიციებზე კადრის შერჩევისას კავშირი უფლებამოსილია მოითხოვოს ყველა, კანონით გათვალისწინებული დოკუმენტი, მათ შორის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი), სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი, ნასამართლეობის შესახებ ცნობა, ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ და სხვა, ხოლო თანამდებობრივი სარგო და სხვა ნებისმიერი პირობა განისაზღვროს ინდივიდუალურად, თითოეული პოზიციის მიხედვით, კანდიდატის გამოცდილებისა და კვალიფიკაციის საფუძველზე;
- 8) რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებულ დასაქმებულებზე გაიცეს კომპენსაცია და საშვებულებო ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

- 9) დაევალოს კავშირის შესაბამის პირებს, აცნობონ კომპანიის ყველა დასაქმებულს რეორგანიზაციის შესახებ და უხელმძღვანელონ, წარმართონ და კოორდინაცია გაუწიონ რეორგანიზაციის და შესაბამის საკადრო რიცხოვნობის შემცირების პროცესს;
- 10) ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.

ოსებ ტყემალაძე

პრეზიდენტი

